



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.894)
21 - 28 სექტემბერი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

განათლება თავისუფლებაა... გვ. 4



„ქორების ტბაზე“ წყლის დონის ბუნებრივი მატება შეინიშნება



გვ. 5

უანგაროდ გავლილი ცხოვრების გზა



გვ. 5



ორი ახალი სკოლა გაიხსნა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ორი საჯარო სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი და მათი ძირითადი რეაბილიტაცია განხორციელდა. დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედის №2 და სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლებში ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობისა და მილენიუმის ერთობლივი პროგრამის დაფინანსებით სრულიად განახლდა და აღიჭურვა. ახალი შენობები საქართველოს პარლამენტის წევრმა, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა გახსნა და სკოლის მოსწავლეებს ახალ გარემოში სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ამ დრომდე ხსენებული სკოლების მოსწავლეებს მეზობელი სოფლების

სკოლებში უწევდათ სიარული. ამ დროისთვის დედოფლისწყაროში კიდევ ერთი ახალი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. სოფელ ზემო მაჩხაანში ხანძრის შედეგად დაზარალი სკოლის ნაცვლად ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა დაიწყო, სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. თანამედროვე სტანდარტების შენობა ზემო მაჩხაანში მომავალ სასწავლო წელს გაიხსნება. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში განმარტავენ 2019-2020 სასწავლო წლისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ჯამში 252 მოსწავლე დარეგისტრირდა. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლების გარდა ახალი სასწავლო წელი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში 16

სექტემბერს დაიწყო. ამ ორ სკოლაში კი სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო სწავლის დაწყება 1 კვირით გადაიდო. პარლამენტის წევრმა ირაკლი შიოლაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ეთერ დავითაშვილთან, მოადგილეებთან და თანამშრომლებთან ერთად დედოფლისწყაროელ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრნენ პირველკლასელებს საჩუქრად გადაეცათ „ბუკები“. სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა დედოფლისწყაროს 6 სკოლაში, ხოლო 11 საჯარო სკოლაში ახალი მერხები შეიტანეს.

მსოფლიო დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროში

მსოფლიო დასუფთავების დღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. მასშტაბური აქციის ფარგლებში დედოფლისწყაროს მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ებისა და მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებმა განმინდეს ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის ტერიტორია და რეკრეაციული ზონები. მსოფლიო დასუფთავების აქციის მწვანე ტალღას საფუძველი 2008 წელს ჩაეყარა და ის პლანეტის 150 ქვეყანაზე მეტს მოიცავს.



საქველმოქმედო აქცია დედოფლის წყაროში

20 სექტემბერს, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯმა“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მორიგი საქველმოქმედო აქცია გამართდა.


პაციენტებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ კლინიკის წამყვანი ექიმის-

მამასახლისის მალალკვალიფიციური მომსახურებით.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, პროფესიონალი მედიკოსების მომსახურებით ისარგებლა 100-მდე დედოფლისწყაროელმა. ზოგიერთმა მათგანს ექიმებმა მისცეს რეკომენდაცია, რომ საჭიროებენ

თვალის ოპერაციას, ხოლო დანარჩენებს დაუნიშნეს შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობა.

საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით ჩატარდა.



სკანდალური შეწყობა და გამოცხადებული მორატორიუმის ქრონიკა

ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება მორწმუნეთათვის, კანონმდებლობისთვის კი ის უმძიმესი დანაშაულია. ამიტომ იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში მკვლელი დანაშაულისთვის პასუხს საკუთარი სიცოცხლით აგებდა. „თვალი თვალის წილ“-ასეთი იყო საზოგადოებისა და კანონის ერთობლივი გადაწყვეტილება. მოგვიანებით, ცივილიზებულმა სამყარომ უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე. ძნელი სათქმელია, ქვეყნების ხელისუფლებით და მოსამართლეებს მოსწყინდათ პილატეს როლში ყოფნა, თუ ჯალათის ინსტიტუტმა დრო მოჟამა, მაგრამ ფაქტია, რომ კანონში ცვლილება შევიდა და სიკვდილით დასჯა უფადო პატიმრობამ შეცვალა. ცივილიზებული სამყაროს შეუერთდა საქართველოც, რომელმაც დამოუკიდებლობის პირველივე წლებში უარი თქვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაზე, მიუხედავად მისი დანაშაულებრივი ქმედებისა. სიკვდილით დასჯა გაუქმდა, თუმცა, მკვლელების შესაძლო შეწყობაზე საუბარი არასოდეს ყოფილა. პირველი პრეცედენტი საკაშვილის პრეზიდენტობის დროს შეიქმნა, როდესაც მან გირგვლიანის მკვლელებს სასჯელი შეუსთაბუნა. მეორე ფაქტი სულ ახლახანს დაფიქსირდა, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა რამდენიმე მკვლელი შეიწყალა, მათ შორის ერთი ძეგნილი...

პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც წარსულში, ისე ახლაც... მის სკანდალურ შეწყობას აკრიტიკებენ როგორც ოპოზიციური სპექტრის, ასევე სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებიც. პოლიტიკოსები და ექსპერტები აცხადებენ, რომ მიხილი სააკაშვილის მავნებელი საქციელი მისი პრეზიდენტობის დასასრულის დასაწყისად იქცა. ეს შეწყობა „ავის მომასწავებელია“ სალომე ზურაბიშვილის კარიერისთვისაც. პოლიტიკოსები და იურისტები მის იმპიჩმენტზეც ლიად ალაპარაკდნენ.

თავად ქვეყნის პრეზიდენტმა კი შეწყობაზე პასუხისმგებლობა სრულად აიღო საკუთარ თავზე და შეწყობაზე მორატორიუმი გამოაცხადა.

შეწყობის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ზვიად ქორიძე აცხადებს, რომ მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა შეწყობის მექანიზმის გამართვა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა. მას სრულიად უადგილოდ და გაუმართლებლად მიაჩნია პარლამენტის მიერ შეწყობის მექანიზმის რაიმე სახით რეგლამენტირება, რა თხოვნითაც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა კანონმდებლებს, როცა შეწყობაზე მო-

რატორიუმი გამოაცხადა, რითაც, ზვიად ქორიძის თქმით დაზარალდა შეწყობის მექანიზმი:

„გუშინ ეს მექანიზმი დაზარალდა, რადგან შეშინებულმა პრეზიდენტმა უცხად გამოაცხადა, რომ ის საერთოდ არ გამოიყენებს შეწყობის მექანიზმს და რომ მორატორიუმს აცხადებს, ვიდრე პარლამენტში არ შეთანხმდებიან რაღაც მარეგულირებელ ნორმებზე. და საერთოდ, ვინ ეკითხება პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე შტოს ხელისუფლების პრეზიდენტის ამ უფლების განსაზღვრას, ეს არის კიდევ სხვა თემა!“.

დღემდე მოქმედია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ ხელმოწერილი 2014 წლის ბრძანებულება „შეწყობის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმის მუშაობას და რომელსაც წინ უსწრებდა პრეზიდენტ მიხილ სააკაშვილის 2004 წლის შედარებით მცირე მოცულობის ბრძანებულება „შეწყობის გამოყენების წესის შესახებ“.

ზვიად ქორიძე თვლის, რომ შეწყობაზე კონსტიტუციური ჩანაწერი არის სრულიად საკმარისი და მას მეტი რეგულაცია არ სჭირდება:

შეწყობის თხოვნით პრეზიდენტისთვის მიმართვის უფლება აქვს ყველა სახის დანაშაულში მსჯავრდებულს. ზვიად ქორიძე უმნიშვნელოვანესად თვლის შეწყობის მექანიზმის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფას:

„მისათვის, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება არ იყოს ვოლუნტარისტული და შუასაუკუნეების მონარქების გადაწყვეტილებების მსგავსი, თავად პრეზიდენტმა უნდა მოიფიქროს ისეთი მექანიზმი, რომლითაც იგი თვითონ იქნება დაცული.“

შეიძლება ის სქემა, რომელიც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა მოიფიქრა, უნივერსალური არ იყო, მაგრამ ის იყო რამდენიმე საფეხურიანი ფილტრი, რომელიც, მე ვთვლი, მას ძალიან ეხმარებოდა. იმ ადამიანების საქმეები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ვადის კრიტერიუმებს, კომისია ყველას იხილავდა და იქიდან არჩევდა ადამიანებს, რომელთა შეწყობის დადებით რეკომენდაციას სთავაზობდა პრეზიდენტს და ამის შემდეგ ვისაც უარს ეუბნებოდა, მას პრეზიდენტი არც იხილავდა. ვისაც დადებითი რეკომენდაცია ჰქონდა კომისიის, პრეზიდენტი მათ სისაც დამატებით იხილავდა და მათ

ნაწილს უარს ეუბნებოდა, რადგან კომისიის დადებითი რეკომენდაცია ავტომატურად არ ნიშნავდა, რომ პრეზიდენტი მსჯავრდებულს შეიწყობდა“.

კომისიის არარსებობის პირობებში გამოცემული შეწყობის ბოლო აქტის შედეგის გამო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიმართ მწვავე კითხვები გაჩნდა, რომლებსაც პასუხი არ გასცემია:

„ერთ-ერთი ყველაზე ლეგიტიმური კითხვა რაც გაჩნდა, იყო ის - იყო თუ არა აქ რაიმე ანგარების მომენტი და რა თქმა უნდა, ეს არის ის კითხვა, რომელმაც გააჩინა მალალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუ არის ანგარებითი მომენტი, ამას ძალიან სერიოზული გამოძიება სჭირდება, რადგან ეს შეიძლება აღმოჩნდეს საფუძველი იმპიჩმენტის პროცესისა“.

რა უნდა გააკეთოს ამ ვითარებაში პრეზიდენტმა?

„მოხდა ავარიული ვითარება, როცა საზოგადოება მას სთხოვს პასუხს - გავარკვიე ამ 23-კაციან სიაში როგორ აღმოჩნდა 3 ადამიანი ასეთ მძიმე დანაშაულზე მსჯავრდებული. ამ კითხვაზე პასუხს ითხოვს საზოგადოება. პრეზიდენტმა უნდა უპასუხოს.“

პრეზიდენტმა ის მაინც უნდა თქვას, ვისთან ითათბრა, როცა იღებდა ამ გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი განცხადება შედის, რადგან საპატიმრო დანესებულებებიდან მსჯავრდებულები პერმანენტულად წერენ შეწყობის თხოვნას. არა მგონია, პრეზიდენტი ზურაბიშვილი ამ განცხადებებს კითხულობდეს და მათ საქმეებს ეცნობოდა. ამას ფიზიკურადაც ვერ შეძლებს ერთი ადამიანი, მაგრამ ის, რომ ვილაცასთან მან შეიძლება ითათბრა, ესეც უკვე ინფორმაცია საზოგადოებისთვის, რომ არ გაჩნდეს კითხვები, რომლებიც უფრო და უფრო იკრებს ძალას საზოგადოებაში - ხომ არ არის აქ რაიმე ანგარებითი მომენტი“.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) აცხადებს, რომ „უმნიშვნელოვანესია, შეწყობის კომისიის უმოკლეს ვადაში ფორმირება მალალი საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი პირებით და შეწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა. პრეზიდენტის მიერ შეწყობის დისკრეციული უფლებამოსილების ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოყენების შემდგომ, საზოგადოებაში გაჩენილი კრიტიკის პასუხად, შეწყობის უფლებამოსილებაზე გაურკვეველი ვადით მორატორიუმის გამოცხადებით,

ზიანი ადგება პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ იმ მსჯავრდებულებს, რომელთათვის, სშირად, შეწყობის მექანიზმი სამართლიანობის მიღწევის უკანასკნელი შესაძლებლობაა“.

EMC-ს იურისტი, ანი ნასრაშვილისთვის შეწყობულ პირთა სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი არის იმ მსჯავრდებულების რაოდენობა, რომლებმაც პრეზიდენტს შეწყობის განცხადებით მიმართეს და ასეთია 4468 ადამიანი:

„ეს ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულებს აქვთ უკანასკნელი შესაძლებლობა ამ მექანიზმით გარკვეულწილად სამართლიანობას მიაღწიონ და შეწყობის მიზანი არ არის მხოლოდ ხარვეზიანად განხორციელებული მართლმსაჯულების გამოსწორება, არამედ შეიძლება იყოს ისიც, რომ მსჯავრდებული ბოლომდე აცნობიერებს ჩადენილ დანაშაულს და თვლის, რომ დაიმსახურა მეორე შანსი. მიმართა, რომ ამ ადამიანებისთვის ყველაზე მძიმეა მორატორიუმს გამოცხადება და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება დაიძრას პროცესი, რისი მიღწევაც პრეზიდენტს სურს შეწყობის პროცედურის დახვეწასთან დაკავშირებით, რომ მათ ეს იმედიც არ წაერთვათ“.

რაც შეეხება შეწყობის ბოლო გადაწყვეტილებაზე საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს, ანი ნასრაშვილი ამბობს:

„საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში არაფერ, მათ შორის პრეზიდენტიც, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუმცა, ეს არის, ჩემი აზრით, ძალიან ფრთხილი საკითხი, რადგან ეს არის მისი კონსტიტუციური უფლებამოსილება და შესაძლებელია საუბარი იყოს, მაგალითად, პრეზიდენტის იმპიჩმენტზე მათ შორის. თუ დადასტურდება ინფორმაცია კორუფციასთან, პირად დაინტერესებულთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაინყოს გამოძიებაც“.

პროკურატურამ პრეზიდენტის მიერ შეწყობის საქმეზე გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ საგამოძიებო უწყებამ განცხადება 20 სექტემბერს გაავრცელა.

„საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყობის პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით. საზოგადოებას პერიოდულად მივანვიდით ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ვინ იყვნენ გოლიათი შირაქელები

რამდენიმე წლის წინ შირაქის ვილ-ჯა საბაში უცნაური კარავი გადმოვიდა - იმ, სადაც დღეს მხოლოდ სა-ქოვრები, უცნაური კონსტრუქციები ჩანს. არქეოლოგები სურათების დახედვით-თანავე მიხვდნენ, რომ ეს მათ რაღაც ძველს სანტარასოს ჰაბიტატს, შირაქის ბაიბაზის ნაგებობებზე აღმოაჩინეს. ასე ბაიბაზის დინაუსი - ძველი კომპლექსი, რომელიც არა ვულკანით, არამედ დამანგრეველი მიწისძვრით აღმოჩნდა მინაში „ჩაბრუნდა“ ძრისტიმად 13 საუკუნით ადრე.

ჯერ 4-5 მეტრი სიგანის გალავანი აქვს შემოვლებული, რომელიც, ალბათ, 10-12 მეტრი სიმაღლის უნდა ყოფილიყო, ქვის გალავანს გარეთ კი 22 მეტრი სიგანის თხრილია, რომლის სიღრმე დაახლოებით 2-3 მეტრია. სანამ მეტრი ქალაქის კედლა-მდე მოვიდოდა, მანამდე ამ თხრილის გად-მოლახვა დიდ ძალისხმევად დაუჯდებოდა. ეს თხრილი თიხით არის ამოვსებული. ნა-ლესის ფრაგმენტები რამდენიმე ადგილას შევნიშნეთ. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ თავდასხმელს ფეხი მყარად ვეღარ

ბა. დღეს ეს საკითხი ეჭვს აღარ იწვევს, რადგან სეისმოლოგებმა აქაურობა გულ-დასმით შეისწავლეს. მინისფრა ქალაქში ცხოვრებას გააძნელებდა. სეისმოლოგების დასკვნით, წყლის ეს მარაგი აქვე, შირაქის ველზე, 60-100 მეტრ სიღრმეზე უნდა მდებარეობდეს. სახელმწიფოს ნების შემთხვევაში მისი საშუალებით მთელი შირაქის მორწყვა შეიძლება. სხვათა შორის, ერთ-ორ ადგილზე მწყემსებმა წყალი ბურღით ამოქაჩეს.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიწაზე უხსოვარი დროიდან სახლობდა.
- და იბრძოდა...
- დაიხ. ჩვენს აღმოჩენილ მდიდრულ სამარხში მხედართმთავარი მუცლის არე-ში მტრის ისრითა და ზურგზე „დაკიდებული“ ხმლით არის დაკრძალული. ის, სავარაუდოდ, გამარჯვებული მხედართ-მთავარი იყო, რადგან დამარცხებული ხა-ლხი მხედართმთავარს ამგვარი პატივით ვერ დაკრძალავდა, ამის საშუალება არ ექნებოდა. რაც შეეხება ისარს, რომლითაც ის სასიკვდილოდ დაჭრეს, რომისებურია, რომლის მსგავსს აღ პერიოდის თურქე-თის ტერიტორიაზე ვხვდებით, ჰოდა, თავად განსაჯეთ, ვინ იყო მტერი... სხვათა შორის, ისეთივე ისარი ქალაქის გალავან-თანაც არის აღმოჩენილი, რაც მეტყველე-ბს, რომ აქ დიდი ბრძოლა გამართულა.

სწორედ დიდნაურის სამარხებში აღ-მოჩნდა 1მ და 80 სმ სიმაღლის ადამიან-თა ნაშთები, რომლის მსგავსი აქამდე არც ერთი გათხრის დროს არ უპოვიათ.


უფრო საინტერესო აღმოჩნდა ამ „გო-ლიათების“ დნმ-ის კვლევა, რომელიც სტოკჰოლმში ახლახან დასრულდა და თი-თქმის უკვე დადგინდა, რომ ისინი კავკა-სიურ რასას განეკუთვნებიან. მათი დნმ-ის ბოლოდროინდელ კვლევებსა და დიდნაურის უცნობ დეტალებზე არქეოლოგ კონს-ტანტინე ფიცხელაურს ვესაუბრეთ. ბატონ კოტეს 33 საუკუნის შემდეგ დიდნაურელ-თა ხმლის ხელში აღება და მათი ძლიერე-ბის შეგრძნება პირველს ხვდა წილადა:

„ამ პერიოდის სამარხებში ამ სიმაღლის ნაშთები აღმოჩენილი არ არის“

- შირაქის ველი რომ არქეოლოგიური ნაშთებით არის სავსე, დიდი ხანია, ცნო-ბილია და ეს არც არის გასაკვირი - სა-ქართველო ისეთ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, რომელიც გზაჯვარედინია და ათასწლეულების მანძილზე აქ აღმო-სავლეთ-დასავლეთ მსოფლიოს ვენებები თუ პროგრესი კვეთდა ერთმანეთს. შირაქის ამ „ქალაქ-სახელმწიფოს“ არსებო-ბაც ლოგიკურია. მთავარი ის არის, რომ ეს გათხრები გვაძლავს საშუალებას გა-ვივით, ვინ იყო, როგორ შრომობდა და იბრძოდა ის ხალხი, რომელიც, როგორც უკვე დასტურდება, ჩვენი პირდაპირი წი-ნაპარი იყო. მათი ამენებული ქალაქი დაახლოებით 15 ჰექტარზეა გაშლილი. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ მისი მცირე ფრაგმენტები შევისწავლეთ, ძირითადად, სამარხებზე ვფუშობდით, მაგრამ ინფორ-მაციას ესეც გვაწვდის. ქალაქის სამარხები დაახლოებით 3 ჰექტარზეა გაშლილი.

„ასეთი დიდი სამარხი ავასტურებს, რომ ხალხი აქ საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა.“

- ცხოვრობდა და მოშობდა. ამას ის ადასტურებს, რომ მათი ამენებული ქა-ლაქი საოცრად არის გამაგრებული - 15 ჰექტარზე გაშლილ ტერიტორიას გარშემო



მოეკიდებინა და ადვილი გასამკლავებელი ყოფილიყო.

სავარაუდოდ, ეს ძალზე მდიდარი ქა-ლაქი იყო. ამას მისი კულტურა, აქ აღმო-ჩენილი ნატიფი კერამიკა თუ ბრინჯაოს ნაკეთობები გვაფიქრებინებს. ჰყავდათ ბევრი ცხვარ-ძროხა, რომელთა ნაშთე-ბი ასევეა სამარხებში და, რაც მთავარია, ჰქონდათ ბევრი წყალი...

- წყალი დღეს უწყლო შირაქში?!

- დიახ. ეს პალინოლოგიური ანალიზით უკვე შესწავლილია. იქ ნარგავარი მცენა-რეული საფარი ხარობდა, ტყის ჩათვლით. თუმცა ეს ამ ანალიზის გარეშეც სავარაუ-დო იყო - ამხელა ქალაქი უწყლოდ რო-გორ ამენდებოდა! - მაგრამ წყალი ძლიერი მინისძვრის შედეგად დაიკარგა, რომელმაც ქალაქიც მიწასთან გაასწორა და რომლის ნაშთიც, სავარაუდოდ, დიდნაურის მიწაში საუკუნეობით ხელუხლებლად ინახე-

ლებზეც მითხარი - როგორც ცნობილია, მათი ნაშთები ძალიან დიდია, რამაც არქეო-ლოგები განაცვივრა.

- ისინი სიმაღლით დაახლოებით 1 მე-ტრი და 80 სანტიმეტრი ყოფილან. განც-ვიფრება იმან გამომიწვია, რომ ამ პერიო-დის სამარხებში ამ სიმაღლის ნაშთები აღმოჩენილი არ არის - რაც გვაქვს, დი-დი-დიდი 1მ და 55-60 სმ სიმაღლის ნაშ-თებია, დიდნაურელებს წვივის ძვლებზეც კი შეატყობ, როგორი მაღლები ყოფილან. იმიტომაც განიდა ასეთი ინტერესი ამ ნაშ-თების მოლეკულურ-გენეტიკური ანალი-ზის მიმართ, რაც სტოკჰოლმის ლაბორა-ტორიაში მიმდინარეობდა და დიდი დროც დასჭირდა. ამ სფეროს სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ვიცი, რომ კვლევების თანახმად, ეს ხალხი ქართული, კავკასიუ-რი გენეტიკისაა, იმ გენეტიკის, რომელიც,

„არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის საქმე“

გახსოვთ, ცნობილი სცენა „დათა თუ-თაშვიანს“, როდესაც 2 მანათის სანაცვლოდ კიკუ მიშვლდება, მერე სწრაფად სტაქებს ხელს ფულის მონეტას და ხარბად აკვირდე-ბა. ამ ფაქტის წამახალისებელია მისი მამაც, რომელიც ფულის სანაცვლოდ „სულსაც გა-ყიდის“.

სწორედ ეს სცენა გამახსენა ამ დღეებში მომხდარმა ფაქტმა, რომელიც უკვე მოინათ-ლა „არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის საქმედ“. საქართველოში ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ ოჯახის წევრი ან ახლობელი ბავშვთა პორნოგრაფიის ხელშემწყობი იყოს, განსაკუთრებით - მშობელი! დიახ, ეს მწარე რეალობაა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავე-ბულების ადვოკატები და ოჯახის წევრები მშობლების ჩართულობას არასრულწლოვან-თა პორნოგრაფიის საქმეში კატეგორიულად გამოირიცხავენ, მათ წინააღმდეგ საქმე აღ-ძრულია და როგორც პროკურატურაში აცხა-დებენ, მათი დანაშაულის დამადასტურებელი გარემოებები უკვე იკვთება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია შორის არიან პორნოგრაფიის ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები, მათი ნათესავები და ახ-ლობლები, ასევე, უკანონო ფოტოსალონის მფლობელები და თანამშრომლები.

რა ხდება?
საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგისა და პორნოგრაფიის ბრალდებით მშობლე-ბი და ახლობლები დააკავეს, სულ 11 პირი. 8-დან 14 წლამდე არასრულწლოვნებს თევე-ბის განმავლობაში სპეციალურად მოწყობილ სტუდიებში მშობლების ნებართვით პორნო-გრაფიული შინაარსის ფოტოსა და ვიდეოებს უღებდნენ. სანაცვლოდ კი 500-დან 3 000 ლარამდე თანხას იღებდნენ. დაკავებულებს 17-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლე-

ბის აღკვეთა ემუქრებოდა. სექსუალური ექს-პლუატაციის მსხვერპლი ბავშვები კი ფსიქო-ლოგიური დაზარების მიღების მიზნით სპეციალურ სამსახურთან გადაამისამართეს. ტრეფიკინგისა და ბავშვთა პორნოგრა-ფიის გახსნილი საქმეების მიღმა ბევრი პრო-ბლემა იყოს თავს. რთულია იმის გააზრება, რამდენად მძიმე გავლენა შეიძლება ჰქონდეს მსგავსი სახის სექსუალურ ექსპლუატაციას ბავშვების ფსიქოლოგიაზე და მის განვითა-რებაზე. ამ დროს მთავარი პასუხისმგებლო-ბა როგორც სახელმწიფოს, ისე ოჯახს და საზოგადოებას ეკისრება.

რა მიიჩნევა ბავშვთა პორნოგრაფიად?

ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვთა პორნოგრაფიას ასე განმარტავს: „ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს ბავშვის, რომელიც ასრულებს რეალურ, ან სიმულირებულ ამ-კარა სექსუალური ხასიათის მოქმედებას, გამოსახვას ნებისმიერი საშუალებით ან ნე-ბისმიერი სახით, ან ბავშვის სასქესო ორ-განობის ნებისმიერი ფორმით გამოსახვას, ძირითადად სექსუალური მიზნებისათვის“.

ბავშვთა პორნოგრაფია დღეს მოისხენიე-ბა, როგორც ბავშვებზე სექსუალური ძალა-დობის ამსახველი მასალა. პროფესიონალთა დიდი ნაწილი უპირატესობას სწორედ ამ სახელწოდებას ანიჭებს, რადგან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა შეიძლება იყოს ტექსტები, გამოსახულებები, სექსუალური ხასიათის ქმედებები ჩართუ-ლი ბავშვების აუდიო და ვიდეოჩანაწერები. არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის 2 ძირითადი კატეგორია:

- „ვუალისებური (შენიღებული) პორნო-გრაფია“ - სექსუალურ ურთიერთობებს არ გამოსახავს, მაგრამ იყენებს ბავშვების გამიშ-ვლებულ და მაცდუნებელ გამოსახულებებს;
- „ღია პორნოგრაფია“ - ღიად ასახავს სექ-

სუალურ ურთიერთობებში ჩართულ ბავშვებს.

ბავშვების გამოყენება ნებისმიერი სახის პორნოგრაფიის წარმოებაში სექსუალურ ექსპლუატაციად ითვლება. ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამ-სახველი პროდუქცია მანამდეც არსებობდა, სანამ ინტერნეტი პოპულარული გახდებო-და. თუმცა, 90-იანი წლების დასაწყისიდან, მსოფლიო ელექტრონული ქსელის შექმნამ და გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვთა პორნოგრაფიასთან, მის წარ-მოებასთან, გავრცელებასთან და ფლობას-თან დაკავშირებულ რეგისტრირებულ დანა-შაულთა რაოდენობის ზრდას.

2000 წლისათვის პოლიციამ რიც ქვეყნე-ბში დააკავა ადამიანები, რომლებსაც დაგრო-ვებული ჰქონდათ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ათასობით გამოსახუ-ლება.

დღესდღეობით ინტერნეტში არსებობს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუა-ტაციის მსხვერპლი ათობით ათასი ბავშვის ერთ მილიონზე მეტი გამოსახულება. ცნო-ბილია, რომ 2000-2011 წლების შემდეგ კი-დედ უფრო გვიზარდა ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემცველი მასალის მოცულობა, რომელიც ქსელში ბრუნავს, პოლიცია ად-გენს ბავშვების სულ უფრო მეტ რაოდენო-ბას, რომლებიც ადრე არ ფიგურირებდნენ მათ მონაცემთა ბაზებში. ბავშვებზე სექსუ-ალური ძალადობის შემცველი გამოსახულე-ბების წარმოება და გავრცელება მსხვილი დანაშაულებრივი ბიზნესია, რომლის ღირე-ბულა ნელნელა მილიარდობით დოლა-რია. ამ ბიზნესის ყოველწლიური მოცულობა დაახლოებით 3-დან 20 მილიარდი დოლარია (ეს რიცხვი მოყვანილია აშშ-ს გამოძიების ფე-დერალური ბიუროს მონაცემებზე დაყრდნო-ბით).

იმავე მონაცემებით, აღნიშნული მასალის 55% იქმნება აშშ-ში, ხოლო 23% - რუსეთში, დანარჩენი - სხვა ქვეყნებში. ამასთან, აშშ და რუსეთი ის ძირითადი ქვეყნებია, სადაც ამგვარი საიტები იქმნება. „უფასო წვდომის“ საიტების უმრავლესობა გამოვლენილი იქნა ინტერნეტ-პროვაიდერებთან რუსეთში, აშშ-ში, ესპანეთში, ტაილანდში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. ბავშვზე სექსუალური ძა-ლადობის ამსახველი დიდი რაოდენობის მა-სალა ასევე ვრცელდება ვიდეო-ფორმატით ადგილობრივ ბაზრებზე.

შინ შიშობა ბავშვთა პორნო-გრაფიის მსხვერპლი?

„ბავშვთა პორნოგრაფიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!“ ბავშ-ვები, რომლებიც ცხოვრობენ ან დიდ დროს ატარებენ ქუჩაში, ან იძულებით ეწევიან პროსტიტუციას, ან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ამ ვგუფში ასევე შედიან ბავშვები დის-ფუნქციური და ნაკლებად უზრუნველყოფი-ლი ოჯახებში. პორნოდამნაშავეთათვის გაკილებით ადვილია პატარა ბავშვებთან მუშაობა. პატარებს მაინცდამაინც არ ესმით მუშაობის დანიშნულება, ისინი ხშირად სათა-მამოებით პოზირებენ.

რა გავლენას ახდენს ბავშვთა და მის განვითარებაზე პორნოგრაფიასა და ტრე-ფიკინგზე ჩართვა?

შეიძლება ითქვას, რომ პორნოიდუს-ტრიაში ბავშვების მონაწილეობის შედეგები სავალალოა. კლინიკურ დაკვირვებათა მო-ნაცემების მიხედვით, ბავშვები, რომლებიც პორნოფილმებში მონაწილეობდნენ, საკუ-თარ თავს აღიქვამენ, როგორც ნივთს, უსუ-ლო საგანს, რომლის გაყიდვა შეიძლება. (გაგრძელება გვ. 7)

განათლება თავისუფლებაა...

წინა ნომერში დაგვიხსენიეთ, რომ ეტაპობრივად, უფრო ახლოდან გაგაცნობდით 2019 წლის წარჩინებულ, 100%-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტებს, ამიტომ, რუბრიკის ფარგლებში "განათლება თავისუფლებაა" დღეს გთავაზობთ N1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთან-ანასტასია ყოჩიაშვილთან და ანუკი დავითაშვილთან ინტერვიუს. ეს ახალგაზრდები არამარტო იმიტომ უნდა გავიცნოთ ახლოს, რომ მათ დღეს გვასახელებს, გაამართლეს მშობლების და პედაგოგების იმედები, არამედ იმიტომაც, რომ მათ უკან მდგომარეობა მამა მავალით მიიღოს და გაიზაროს მათი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე, ჩვენი აზრით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ამ რუბრიკაში.

ანასტასია და ანუკი მოკლე ბიოგრაფიის შემდეგ მოგვიყვებიან თავიანთ უახლოეს სამომავლო გეგმებზე, ასევე, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს მათი თაობა და ზოგადად ახალგაზრდობა, რას მიიჩნევენ წარმატების მთავარ საიდუმლოდ, რა თამაშობს მთავარ როლს ამ შემთხვევაში, ნიჭი, სიბეჯითე, იღბალი თუ ყველაფერი ერთად, რა როლი უკავია ოჯახს და ბოლოს, განათლება უალტერნატივოა, მაგრამ, კიდევ რა შეიძლება გავხედვით ახალგაზრდებისთვის წარმატებული ცხოვრების საწინდარი(მაგ. პროფესიული განათლება, კერძო ბიზნესი, ხელობაზე დაოსტატება და ა.შ.)



ანასტასია ყოჩიაშვილი - დავიბადე 2001 წლის 30 ივლისს ქ. დედოფლისწყაროში. 2019 წელს დავამთავრე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა და ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 100%-იანი და-

ფინანსებით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის (მედიცინის) ფაკულტეტზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროფესია 3-4 წლის ასაკშივე ავირჩიე. ჩემს თვალში ექიმი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც იმედის სიმბოლო, რადგან მისი მოვალეობაა, ნებისმიერ დროს დაეხმაროს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. ჩემი არჩევანის ძირითადი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ, ვფიქრობ, ყველაზე მეტ ბედნიერებას ექიმი სხვების დახმარებისას გრძნობს. მომავალი ჯერ ზუსტად დაგეგმილი არ მაქვს, რა მიმართულებით გავაგრძელებ სწავლას, თუმცა, ის ზუსტად ვიცი, რომ წინ საინტერესო, მაგრამ რთული წლები მელის.

რაც შეეხება დღევანდელი ახალგაზრდების მთავარ გამოწვევებს, აქ, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა უმეცურობაა. ისინი ვერ ხედავენ დასაქმების პერსპექტივას და ადრეულ ასაკშივე იწყებენ ფიქრს საზღვარგარეთ ნასვლის შესახებ. ვფიქრობ, ეს არა მარტო ახალგაზრდების, არამედ სრულიად საქართველოს პრობლემაცაა.

წარმატების გასაღები, უდავოდ, მიზანდასახულობა და შრომაა. ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიზანი, რომლის მისაღწევადაც ყოველდღე, ყოველ წამს უნდა იმრომოს. გვახსოვდეს, რომ შრომა არასდროს არ არის ფუჭი. ის ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებს შედეგს, მაგრამ, ვფიქრობ, არც მხოლოდ შრომა საკმარისი და არც მხოლოდ ნიჭი, თუ საკუთარ თავზე არ იმუშავებ და არ განავითარებ შენი უნარ-ჩვევები.

ასევე, წარმატებული ცხოვრების საწინდარია ოჯახი, რომელშიც იზრდები, გარემო, სადაც სწავლობ, ისევე და ისევე მიზანი და მისკენ სწრაფვა.

ანი დავითაშვილი - დავიბადე 2001 წელს, 2007 წლის სექტემბერში მშობლებმა შემიყვანეს დედოფლისწყაროს სოფ. ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლაში, რუსულ სექტორზე, სადაც ჩემი პირველი დამრიგებელი ინგა ხოსროშვილი იყო. სკოლაში შესვლამდე ქართული წერა-კითხვა უკვე ვიცოდი, ხოლო რუსულ სექტორზე ჩემი მიყვანის მთავარ მიზანს ამ უცხო ენის

სწავლა წარმოადგენდა. სკოლის პირველი საფეხური ამ სკოლაში დავამთავრე, ხოლო მეექვსე კლასიდან სწავლა განვაგრძე პირველ საჯარო სკოლაში. სადაც ნამდვილად გამომართლა იმაში, რომ მოვხვდი მეგობრულ გარემოში, მყავდნენ საუკეთესო კლასელები და არაჩვეულებრივი დამრიგებელი-მაია ბეგიაშვილი. სკოლა წელს დავამთავრე ოქროს მედალზე და ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩავირიცხე მაგი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 100%-იანი დაფინანსებით. მაგი ზღვის უნივერსიტეტში ვსწავლობ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე და ჩემი ძირითადი სპეციალობა მომავალში იქნება მარკეტინგი. მომავალი პროფესიის არჩევა არ ყოფილა ადვილი, რადგან რამდენიმე სფერო მაინტერესებდა და არჩევანის გაკეთება მიჭირდა. მაგრამ, როდესაც მარკეტინგის შესახებ მოვიძიე ინფორმაცია, მივხვდი, რომ ეს იყო პროფესია, რომელიც ყველაზე მეტად იყო ახლოს ჩემ შესაძლებლობებთან, ინტერესებთან და სურვილებთან. ამასთანავე, დღეს ეს პროფესია საკმაოდ პერსპექტიულია. სწორედ ეს გახდა ჩემი ამ ფაკულტეტზე ჩაბარების მიზეზი. მომავალი მიზნები ისევე და ისევე სწავლასთან არის დაკავშირებული. არ ვაპირებ გაჩერებას იმაზე, რასაც უკვე მივალნიე.

ახლა ჩემი მიზანი არის ის, რომ ჩემი საქმის პროფესიონალი გავხდე. ასევე მსურს, შევისწავლო დამატებით ახალი უცხო ენა. წარმატება და სიბეჯითე ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია. წარმატებისთვის მუდმივად გჭირდება შენს თავზე მუშაობა და ამაში დღით-დღე ვრწმუნდები, მაგრამ გამართლება

და იღბალი არანაკლებ მნიშვნელოვანია. ნიჭიერება ნამდვილად ღვთისგან ბოძებული საჩუქარია, მაგრამ მნიშვნელოვანია, შეგეძლოს ამ საჩუქრის მიღება და გამოყენება. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემ შემთხვევაში გადაწყვეტილი როლი სიბეჯითე ითამაშა. სიბეჯითესა და ნიჭიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია ის გარემო, რომელშიც ცხოვრობ,

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც ხელს მინიჭებდნენ დასახული მიზნის მიღწევაში და თითოეულ მასწავლებელს, რომელმაც თავი არ დაზოგა იმისთვის, რომ თავისი მოსწავლეებისთვის განათლება მიეცა. სიბეჯითე არ გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ სწავლაზე იყო ორიენტირებული და დაივიწყო ყველაფერი დანარჩენი, რაც შენს ცხოვრებას ქმნის. მაგალითად, ის რაც შენი ჰობია და რისი კუთვნილება უბრალოდ გიყვარს. მთავარია, შეგეძლოს დროის სწორად განაწილება. მე ამ მხრივ ბედმა გამილიმა, რადგან სწავლის პარალელურად, სისტემატურად ვიყავი დაკავებული ახალგაზრდულ თეატრ „ბერიკონში“, სადაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ცაროს. ჩემს მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი „რა? სად? როდის?“-ს და ამ შესაძლებლობისთვის ქალბატონ ლელა ბილიაშვილს ვემადლოებები. (კიდევ არაერთ აქტივობაში ვიყავი ჩართული, რომელთა ჩამოთვლიდან ნამდვილად დიდ სიას მივიღებ:) განათლება მართლაც წარმატების ერთ-ერთი გასაღებია, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრება წარმატების გარანტი არ არის. თითოეულ ადამიანში დევს რაღაც ნიჭი და ამ ნიჭის განსავითარებლად ხშირად უმაღლესის დამთავრება სულაც არ არის საჭირო. ამ შემთხვევაში გვულისხმობს იმას, რომ არსებობენ მოზარდები, რომელთა სურვილს უმაღლესი განათლების მიღება არ წარმოადგენს და ისინი ეროვნულ გამოცდებს აბარებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათი მშობლების სურვილია, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მივიჩნევ, რომ ეს არასწორი მიდგომაა. მოზარდს უკვე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ის, თუ რისი კეთება უნდა და შეუძლია, ხოლო მშობლები უნდა უსმენდნენ და იზიარებდნენ შვილების სურვილებს. საქართველოში დღეს ნამდვილად არის იმის შესაძლებლობა, რომ პროფესიული სასწავლებელში მიიღო მაღალი დონის კვალიფიკაცია და აქედან ანაყო შენი წარმატებული ცხოვრების კიბე გვიამბობს ანუკი და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როგორი მიზანდასახული, მოტივირებული თაობა გვეზრდება, ამ საამაყო ბავშვებისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლია არა მხოლოდ მათ მომდევნო თაობებს, არამედ ჩვენს თაობასაც, გვჯერა, კიდევ ბევრჯერ განგვაცვიფრებენ ხვალისდელი წარმატებები.

ელზა ხარაშვილი

სპორტული კლუბის „ლეგიონის“ წარმატებები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა მსოფლიოში სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ ნამყვან ადგილზეა, თუმცა, იმავე წყაროს მიხედვით, მსოფლიო ახალგაზრდობის 80% ფიზიკურად არასაკმარისად არის დატვირთული. სწორედ ამიტომ, ჯანსაღი ცხოვრების წესის მეორე მნიშვნელოვან შემადგენელს, სწორ კვებასთან ერთად, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა უნდა შეადგენს. სპორტი ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია, ფიზიკური აღზრდის მეთოდი და საშუალებაა, სპორტი და ფიზიკური განათლება აუცილებელი პირობაა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის, ჯანმრთელობა მიზნავს არა რომელიმე დავადების არქონას, არამედ ამ დავადებების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. იგი მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის გაკავებას, საერთო ფიზიკურ განვითარებასთან ერთად შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მიღწევას, გამარჯვებას და უბრალოდ სიამოვნების მიღებას. სპორტული ცხოვრება, რომ აუცილებელია და საჭიროა მოზარდის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის ეს უდააო. მაგრამ საინტერესოა ამ კუთხით რა ხდება ჩვენს რაიონებში, ვინ ზრუნავს და როგორ, მომავალი თაობის სიჯანსაღეზე?

დედოფლისწყაროს რაიონში, 2007 წლიდან, სპორტული კლუბი „ლეგიონი“ ფუნქციონირებს. კლუბის ხელმძღვანელია მიხეილ სეხნიაშვილი. ამ კლუბის წევრებს, წლების განმავლობაში მიღებული აქვთ მონაწილეობა სხვადასხვა სახისა და რანგის შეჯიბრებებში, როგორცაა: ევროპის, მსოფლიოს, საერთაშორისო, მაგი ზღვის თასის ტურნირები, საქართველოს პირველობა, სა-

ქართველოს თასი და სხვა, სადაც კლუბის წევრებმა მიაღწიეს მრავალ წარმატებას და არა ერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს. ძალისმიერ სამჭიდში გვაქვს 8 მსოფლიო და 4 ევროპის ჩემპიონი. „ლეგიონის“ ოთხი წევრი (ძალისმიერ სამჭიდში), არის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში- ქოზაშვილი ნუკრი, ვარდნიშვილი თეოდო, ზუბიაშვილი მიხეილი და ჩივაძე ვასიკო.

„საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის (გენერალური მდივანი - ბატონი-ელგუჯა კვიციანი) და დედოფლისწყაროს სპორტის (ცენტრის(დირექტორი-ბატონი-აკაკი ნატროშვილი) ორგანიზებით დედოფლისწყაროში 31 აგვისტოს გაიმართა კახეთის ღია პირველობა ძალისმიერ სამჭიდში, ნოლჭიმში და ამონევამი.. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს სიღნაღის, თელავის გურჯაანის, თბილისის და დედოფლისწყაროს კლუბები. დედოფლისწყაროს კლუბმა ლეგიონმა 17 სპორტმენი გამოიყვანა სასაპარეზოდ. სამჭიდში იასპარეზა 9 სპორტმენმა და 7 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავა. ნოლჭიმში იასპარეზა -6 სპორტმენმა და 4 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავა. ამონევამი იასპარეზა 14 სპორტმენმა და 12 პირველი და 2 მეორე ადგილი დაიკავა. გუნდურში სამჭიდში და ამონევამი დედოფლისწყარომ დაიკავა 1 ადგილი, 2 და 3 ადგილები სიღნაღის და თელავის გუნდებმა გაიმყარეს. ნოლჭიმში ჩემპიონი და 2 ადგილი გაიყვანა 1 ადგილი სიღნაღის გუნდმა მოიპოვა, რომელსაც ლეგენდარული სპორტმენი შოთა ბეჟაშვილი ავარჯიშებდა... 3 ადგილზე თელავის გუნდი გაიყვანა, რომელსაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ზურა ძამუკაშვილი უდგას სათავეში... საერთო ჯამში ჩვენმა გუნდმა 23 პირველი და 6 მეორე ადგილი დაიკავა და კიდევ ერთხელ დამტკიცა რომ ახალგაზრდულ -23 წლამდე მოსაპარეზო სპორტმენებში ერთერთი საუკეთესოები არიან...

თუმცა გვყავს გიორგი ქართველიშვილი-25 წლის, რომელმაც ამ ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი აჩვენა-200 კილო დააფიქსირა-93 კგ. კატეგორიაში. გიორგი 88 კილო და 210 კგ. აქვს ახნული-83 კგ. კატეგორიაში... დედოფლისწყაროს კლუბი ლეგიონი და ლეგიონის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს ათლეტიზმის და ჩვენი სპორტის ცენტრის ხელმძღვანელობას ამ ლამაზი შეჯიბრის ორგანიზებაში და ყველა ჩამოსულ სპორტმენს და მასწავლებლებს ამ შეჯიბრში მონაწილეობისთვის...“ - წერს თავის პირად გვერდზე მიხეილ სეხნიაშვილი.


„ამ შეჯიბრის მერე მსოფლიო პირველობისთვის ვემზადებით, რომელიც ჩატარდება ქალაქ თბილისში 4, 5 და 6 ოქტომბერს, სადაც მონაწილე იქნებიან მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნის საკმაოდ ძლიერი სპორტმენები. ჩვენი კლუბიდან მონაწილეობას მიიღებს 6 წარმომადგენელი (შეიძლება ორი კიდევ დაემატოს). 26-27 ოქტომბერს დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები ქუთაისში საქართველოს პირველობაზე, აქ მთლიანი გუნდი წავალთ და დარწმუნებული ვარ ძალიან კარგი შედეგები გვექნება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ჩემპიონის სპორტმენის გადასვლას. დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ შეჯიბრებები რაიონის ყველა სოფელში, რათა მოვიზიდოთ სოფლის ახალგაზრდობა და დაეწერგოთ სპორტის ეს სახეობა რაიონის მამულებით. ჩამოყალიბებით რამდენიმე კლუბი და შევადგინოთ რაიონის ნაკრები გუნდი. გარდა ძალისმიერი სამჭიდისა, მიზნად დავიყვანებ, ალვადგინოთ ბრძოლა წესების გარეშე და სანდას ჯგუფი, რადგან სპორტის ამ სახეობებშიც გვაქვს გარკვეული მიღწევები, არა მარტო აქ, არამედ, საქართველოშიც გვაქვს ჩემპიონები და ევროპის ჩემპიონები. კიბოთუხიგის ჯგუფიც უნდა გავხსნათ და ახალი სახეობა მკლავჭიდშიც დავამატოთ.“

ჩვენ ვზრუნავთ და ვცდილობთ მაქსიმალურად გავიზაროთ ჩვენი მომავალი თაობის ჯანსაღად აღზრდილთათვის. კარგი იქნება თუ მშობლები მეტ ყურადღებას და თანადგომას გამოიჩენენ, რადგან ერთიანი ძალისხმევით უფრო მეტს შევძლებთ, მეტი წარმატება იქნება მიღწეული და უფრო ჯანსაღ მომავალ თაობას გავზრდით. უნდა დავაბრუნოთ სპორტი-სადმი ინტერესი, ჩამოვამოროთ მომავალი თაობა სხვადასხვა სახის გავლენებს და პრიორიტეტული გავხადოთ კარგი ფიზიკური მომზადება. მქონდა შეხვედრები სკოლებში, მშობლებთანაც მქონდა საუბრები, მაგრამ სამწუხაროდ ეს პროცესი ძალიან ნელა მიდის, ნაკლებად აინტერესება. ისევე და ისევე ეკონომიკური ფაქტორი იჩენს თავს, არადა ჩემი აზრით სპორტში მთავარი ღირსება და სპორტმენის კარგ, ძლიერი ადამიანად ჩამოყალიბებაა.“ - ამბობს მიხეილ სეხნიაშვილი.

სპორტი როგორც სოციალური ფენომენი თანამედროვე საზოგადოების განვითარების უწყვეტი პროცესის აუცილებელი კომპონენტია. იგი ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, სოციალურ აქტიურობას, ყოველდღიურ სამოქალაქო ცხოვრებაში სრულყოფილად მონაწილეობას, სწავლაში, შრომით საქმიანობაში, ოჯახსა და საზოგადოებაში თვითრეალიზაციის ძიერფასო მეგობრებში! გაუფრთხილდით უძვირფასეს კაპიტალს — თქვენს ჯანმრთელობას! ადრეული ასაკიდანვე იზრუნეთ თქვენი შვილების ჯანმრთელობაზე! მისი დეით ცხოვრების ჯანმრთელობაზე! მისი წვეთ გარემოს დაცვასა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას! ერთად ვიზრუნოთ ჯანსაღად და სრულყოფილი საზოგადოების შექმნისათვის.

კლუბ „ლეგიონის“ წევრებს და მათ ხელმძღვანელს კი ვუსურვებთ კვლავ მრავალ წარმატებას სპორტულ ასპარეზზე.

უანბაროდ გავლილი ცხოვრების გზა



მის ჯანს რა დაღვეს, რა მოერევად, იფიქრებდით მისი შემხედვარე. ერთხელ მაინც თუ ნახავდით, არასდროს დაგავინდებოდით, ახოვანი, ძლიერი, გულუბრყვილო, სუფთა გამოხედვით კეთილ გოლიათს რომ ჩამოგავდა, მაგრამ უღმობელია დრო-ჟამი, მიქრის და თან მიაქვს ახალგაზრდობა, სიმკვირცხლე... უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე მოგადგება კარს სიბერე. ზოგს ცოტა ადრე, ზოგს უფრო გვიან შემოეპარება სისუსტე, უძლეობა... ის ახლა ჩემს წინ ზის კვლავაც ახოვანი, სტუმრის შესახვედრად საგანგებოდ გამოწყობილი და ისევ სიკეთის სხივი გადაჰფენია სახეზე. ოფიციალურად ვისერგი, საზოგადოებისათვის კი თენგიზ გუმაშვილად ცნობილი კაცი, კაცი, რომლის ცხოვრება იყო სპორტი, სპორტი და კიდევ სპორტი. ის იუბილარია, რამდენიმე დღეში მას 70 წელი შესრულდება.

თენგიზ გუმაშვილი 1949 წლის 25 სექტემბერს დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ ჭოყლოში ხარება გუმაშვილის და ზაირა ალხანიშვილის ოჯახში სიყმისშვილად. მას თინკო მოჰყვა, მაგრამ გოგონა მცირეწლოვანი გარდაიცვალა. მისი დაკარგვით გამოიწვეული ტკივილი პატარა ლეოს დაბადებამ შეამსუბუქა, მაგრამ უფრო დიდი განსაცდელი ოჯახს წინ ელოდა... ბრგე და ძლიერი კაცი იყო ხარება, მოჭიდავე, თავმოყვარე, ცოტა ფიცხი ხასიათი ჰქონდა და მოხდა, რაც მოსახდენი იყო: კაცი შემოაკვდა (იმასაც ამბობენ, სხვისი ცოდვა იტვირთა). ასე იყო თუ ისე, მას სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსჯვეს. მოსისხლეები კი არ ისვენებდნენ. 5 წლის იყო მაშინ თენგიზი. შურისძიების შიშმა აპყარა ოჯახი საკუთარი ფუძე-კერიდან და სოფელ ჯაფარიძეში (დღევანდელ სამრეკლოში) ჩამოიყვანა ბედისწერამ. ორი მცირეწლოვანი შვილით მოადგა სოფელს ზაირა ალხანიშვილი, რომელიც შემდგომ ამ სოფლის სავიზიტო ბარათად იქცა თავისი თავდაუზოგავი შრომის, მიღწევებისა და წარმატებების წყალობით. მთაში გაზრდილ ქალს მეცხოველეობაში არაფერი ესწავლებოდა და სამუშაოდაც სწორედ მეცხოველეობის ფერმას მიაშურა. მწველავი იყო და მასზე გაპროვებულ პირუტყვს სიყვარულითა და ერთგულებით უვლიდა. ჯანმგებარი ქალი იყო, მასზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ, რძით სავსე ორმოცილიტრიან ბალონებს რომ დაიჭერს, ისე შეისერის სატვირთო მანქანის ძარბაზე, თითქოს ბამბის ქულები ეჭიროსო. სხვა თუ ერთ სულ მწველ ძროხაზე წელიწადში 2 000 ლიტრს სწველიდა, ის 3 000 აჭარბებდა. დაუფასდა კიდევ გარჯა - სოციალისტური შრომის გმირის ნოდება მიანიჭეს. მის მკერდზე ოქროს ვარსკვლავი აკიანდა. მთელ რაიონს ეამყებოდა მისი სახელი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდა და არაერთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის

თუ თავყრილობის მონაწილე გახდა. დრო გადიოდა, ბავშვები იზრდებოდნენ. შიში კი სულ მუდამ გულში ჰქონდა, შვილების შურისძიებისა ეძინოდა და ძუ ვეფხვივით მუდამ შემართული იყო მათ დასაცავად. ჯანმრთელები და ფიზიკურად ძლიერები იყვნენ ვაჟები. თენგიზი პირველად ჯაფარიძის სკოლაში შევიდა პირველ კლასში, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით ის სოფელ კარდენახის ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. რამდენიმე წელი იქ გაატარა. ამასობაში ნითელწყაროს სკოლა-ინტერნატი გაიხსნა და თენგიზი აქ გადმოვიდა. არასრული საშუალო განათლება სწორედ აქ მიიღო და ისევ ჯაფარიძის საშუალო სკოლას დაუბრუნდა. აქ აიღო სიმნიფის ატესტატი. ყველგან, სადაც კი ის სწავლობდა, გამოირჩეოდა თავისი სპორტული მონაცემებით და მრავალმხრივი უნარით. ერთდროულად თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს, ხელბურთს, მიღწევები ჰქონდა ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრამში, რაიონის რეკორდსმენი იყო სიმაღლეზე ხტომაში, ჭიდაობაში კიდევ. არ გაიმართებოდა შეჯიბრი რაიონში, მას რომ მომნაწილობა არ მიეღო და თავისი სიტყვა არ ეთქვა. რაიონის ნაკრების წევრი იყო რამდენიმე სახეობაში. ასეთი ფიზიკური მონაცემების ბავშვისთვის მომავალი განსაზღვრული იყო და ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ 1968 წელს დედაქალაქში ფიზკულტურის ინსტიტუტს მიაშურა.

სავალდებულო სამსახური არ ეხებოდა, ჯარში წასვლა მოითხოვა. ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი პრუსაკოვი მის სპორტულ მიღწევებს რომ გაეცნო, გადაიხია, ამ განძს სხვას როგორ ჩაუვადებ ხელში, ის საქართველოში დარჩება და ჩვენი დივიზიის ლირსებას დაიცავსო. ასე ჩაიშალა თენგიზის ოცნება რუსული ენის სწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსული ენის ცოდნის გარეშეც მშვენივრად ახერხებდა, დივიზიის სახელი საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებაზე საუკეთესო შედეგებით წარმოეჩინა. როგორც უმაღლესი განათლების მქონე პირისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახური ერთ წელში დამთავრდა და კვლავ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ჯაფარიძის №72 პროფტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო მუშაობა. ამასობაში ოჯახის შექმნის დროც მოვიდა. თვალი დაადგა კოტაშვილების მშვენიერ, შოლტივით გოგოს და აღარც მოეშვა. ქალბატონ ზაირასაც ძალიან მოსწონდა სარძლო და 1974 წელს ცილა კოტაშვილმა და თენგიზ გუმაშვილმა იქორწინეს. ცილა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და თენგიზიც დროებით თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. იქ ჯერ სპორტულ მეთოდისტად დაიწყო მუშაობა, შემდეგ სპორტული კლუბის „გამარჯვება“ თავჯდომარე გახლდათ. 1985 წელს საბოლოოდ

ტაშვილი, ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში ზვიად სამუკაშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში და ევროპის მესამე ადგილის პრიზიორი ძიუდოში გახდა ლევან ნიკლაური, რომელიც ახლა თავად არის წარმატებული მწვრთნელი. ევროპის ჩემპიონის ტიტული ძიუდოში მოიპოვა ბადრი გავაშვილიშვილმა, ის, აგრეთვე, პეკინის ოლიმპიადის მოწინააღმდეგე იყო. ყველა მოლოდინს გადააჭარბა ზემოქედელი მოჭიდავის ზაზა კედელაშვილის წარმატებებმა. ის სამჯერ ზედიზედ გახდა ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. ერთ საგაზეთო წერილში ყველას ჩამოთვლა ძნელია, რადგან იმ პერიოდში ძალიან ბევრი რესპუბლიკური მნიშვნელობის ჩემპიონი და პრიზიორი გყავდა. ეს შრომა და თავდადება დაუფასდა თენგიზს. მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული მუშაკის ნოდება, დაჯილდოვდა „ღირსების მედლით“, ხოლო 2017 წელს ის აირჩიეს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ. ახლა ცხოვრობს სოფელ სამრეკლოში დედისეულ კერაზე. ცოტას ავადმყოფობს და თავს ევლება საყვარელ მეუღლეს ქალბატონი ცილა. - ჩემი ექიმი ცილააო, - ამბობს ღმილით ბატონი თენგიზი და სინანულის ცრემლი ადგება თვალზე იმ დაუღვეველი ჯანის პატრონს ახლა ყავარჯენი რომ სჭირდება, მაგრამ მას აძლიერებენ შვილები და შვილიშვილები. მართალია, ორივე - ჯიმიც და მაკაც თბილისში ცხოვრობენ, მაინც ხშირად აკითხებენ მშობლებს. მაკა მამის კვალს გაჰყვება.



მძლეოსნობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მაშინ უკვე სიმაღლეზე ხტომაში პირველთაორიგოსანი გახლდათ, მაგრამ იქაც მრავალმხრივი ნიჭის წყალობით სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. ის მოწინააღმდეგე იმ დროისთვის სპორტის ისეთ იმიჯით სახეობაშიც კი, როგორც რაგბია. თვლა არა აქვს მის სიგელებს, დიპლომებს და მადლობის ბარათებს. 1971 წელს რესპუბლიკურ სპორტულ V ოლიმპიადაზე ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ, იმის გამო, რომ ქართული ჭიდაობა საკავშირო მნიშვნელობის არ იყო და იგი ეროვნულ სპორტს წარმოადგენდა, ის საქართველოს ნაკრებში აიყვანეს სამბოში. იშვიათი გამოწვევის შეიძლება ვუნოდოთ ფაქტს, რომ ბატონ თენგიზს სპორტის ოსტატის ნოდება აქვს მინიჭებული ჭიდაობის 4 სახეობაში: სამბოში, ძიუდოში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. ის საბჭოთა კავშირის სტუდენტური თამაშების ჩემპიონია. 1972 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და სპორტის დიდი ქომავლის დავით გოგაშვილის მოთხოვნით საკუთარ რაიონში გამოანაწილეს. ზემო ქედის არასრულსაშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად დაინიშნა, მაგრამ ერთი სურათი არ ასვენებდა: რუსული ენის უკეთ შესწავლის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სოფლის სკოლის მასწავლებელს, კანონით სამხედრო

დაბრუნდა რაიონში და სპორტკომიტეტის თავჯდომარედ დაინიშნა. მალევე დაატოო თავისი ხელი რაიონის სპორტულ ცხოვრებას ბატონმა თენგიზმა. გამკაცრდა კონტროლი სკოლებში ფიზკულტურის სწავლებასთან დაკავშირებით, სოფლებში შეიქმნა სპორტული გუნდები სხვადასხვა სახეობებში, ინტენსიური ხასიათი მიიღო სარაიონო სპორტულმა შეჯიბრებებმა. თენგიზ გუმაშვილი გაზეთ „შირაქის“ შტატგარეშე კორესპონდენტი გახდა და ჟურნალისტ შოთა ბიკაშვილთან ერთად არ ტოვებდა უყურადღებოდ არც ერთი სპორტსმენის წარმატებებს, გაზეთში სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები სპორტული ცხოვრების შესახებ. ეს კიდევ ერთი სტიმული იყო ახალგაზრდების სპორტში ჩაბმისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების გზაზე. თავდაუზოგავად მუშაობდა თვითონაც და ამუშავებდა მწვრთნელებს და მასწავლებლებს. 1985 წლიდან 2013 წლამდე ედგა სათავეში რაიონის სპორტულ ცხოვრებას და შედეგებიც შამბეტყდავით ჰქონდა. მრავალი შეჯიბრი ტარდებოდა რაიონში რესპუბლიკური ეგიდით, ჩვენი სპორტსმენები მოწინააღმდეგეობას ლეგელოდნენ შეჯიბრებაში მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში და საზღვარგარეთაც. ამ პერიოდში გაიზარდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვასილ უზუნაშვილი, საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი ძალოსნობაში ილია კო-

სანი და ერთგული ადამიანია. ათეული წლების განმავლობაში ერთად მოვიდევართ. ერთდროულად ვისწავლობდით ინსტიტუტში, ერთად ვისყავით სტუდენტობისას სანარმოო, პრაქტიკაზე ქ.ტოლიატში - მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობაზე. ის არა მარტო დიდი ფიზიკური შესაძლებლობების და მიღწევების სპორტსმენი იყო, არამედ ფასდაუდებელია მისი ღვაწლი სპორტკომიტეტის თავჯდომარედ მუშაობის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ მას მუდამ მიზერული ხელფასი ჰქონდა და არავითარი გვერდითი შემოსავლები, ხშირად დაუსპონსორებია ესა თუ ის სპორტსმენი საჭიროების შემთხვევაში. მის დროს, როგორც იტყვიან, ახალმა სიომ დაბერა რაიონის სპორტულ ცხოვრებაში, თვითონაც მუშაობდა და ჩვენც არ გვზოგავდა. ამიტომ ყვაოდა მის დროს სპორტი. მინდა, მეფილი რაიონის ძველი და ახალი სპორტსმენების სახელით მივულოცო საიუბილეო დაბადების დღე და ვუსურვო ჯამთელობა, მხნეობა და გახარება თავის საყვარელ ოჯახთან ერთად, - ამბობს ელგუჯა თეთვაძე. გაზეთ „შირაქის“ რედაქციაც უერთდება თავისი ყოფილი კორესპონდენტის და სპორტის დამსახურებული მუშაკის მილოცვას. უსურვებს მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ქართული ფულის ისტორიიდან

17 სექტემბერს, NDI-მ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კითხვაზე - "თქვენ აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის დადებით მოვლენა იყო, თუ უარყოფითი?" - შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა. გამოკითხულთა 49% სსრკ-ს დაშლას საქართველოსთვის დადებით მოვლენად მიიჩნევს, 41% კი მომხდარს უარყოფითად აფასებს.

საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შორის ეკონომიკური სიდიდით მერვე ადგილს იკავებდა - მუშაობდა მიმდინარე ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სექტორები. უმუშევრობის მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო, ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ფინანსური დახმავა ჰქონდა.

ეკონომიკური კოლაფსის ნიშნები რკინის ფარდის აქეთა მხარეს 1989 წელს გაჩნდა. ამ დროისთვის სსრკ-ს ტერიტორიაზე უკვე მიმდინარეობს ეთნიკური კონფლიქტები. თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის დეფიციტია, დგას რიგები, მოშლილია ინფრასტრუქტურა და რაც მთავარია პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოძრაობები აქტიურია რამდენიმე რესპუბლიკაში. მათ შორის - საქართველოში.

1989 წელს საქართველოს ეკონომიკა 7%-ით შემცირდა. 9 აპრილის შემდეგ საქართველოს ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო მძლავრ პოლიტიკურად ძალად ჩამოყალიბდა. მოძრაობის სათავეში ყოფილი დისიდენტი და ფილოლოგი, ზვიად გამსახურდია აღმოჩნდა.

1990 წელს, საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველ დემოკრატიულ არჩევნებზე სწორედ გამსახურდიას ბლოკმა, "მრგვალმა მაგიდამ", გაიმარჯვა. 1990 წელს საქართველოს ეკონომიკა 14%-ით შემცირდა. 1991 წელს გაღვივდა კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, საბოლოოდ ეს მოქმედებები ცხინვალის ომში გადაიზარდა.

ამავე წელს, 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. მოსახლეობას ერთადერთ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი - "ხართ, თუ არა თანახმა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა?" მოსახლეობის 99%-იანი მხარდაჭერით, 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 26 დეკემბერს სსრკ-მ არსებობა შეწყვიტა. ამ დროისთვის საქართველოში სა-

მოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 22 დეკემბერს დაწყებული ომი თბილისში 15 დღე გაგრძელდა. 6 იანვარს ზვიად გამსახურდიას მთავრობა დაემხო, თუმცა სამოქალაქო დაპირისპირება დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა სიმძვავრით, კიდევ ორი წელი გაგრძელდება.

1991 წელს საქართველოს ეკონომიკა 21 პროცენტით შემცირდა. ქვეყანაში მოიშალა ყველაწიერი სახელმწიფო წესრიგი, ჩამოიშალა ეკონომიკა და მისი თითოეული სექტორი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში ქვეყანა საყოველთაო ქაოსმა მოიცვა.

1992 წელი ქვეყნისთვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წელი საქართველოს ისტორიაში უპირობოდ ყველაზე წარუმატებელი წელია. 1992 წლის 7 მარტს, თბილისში ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა, ის ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანის და თენგიზ სიგუას გუნდს შეუერთდა. ამ დროისთვის დაპირისპირების კერები არსებობს ცხინვალის რეგიონში, შეიარაღებული კონფლიქტი იწყება აფხაზეთშიც. დროთა განმავლობაში საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ კონტროლი ორივე რეგიონზე დაკარგა. ამ კონფლიქტების შედეგად, 400 ათასამდე პირი დევნილად იქცევა.

1992 წელს საქართველოს ეკონომიკა რეკორდული, 44%-ით შემცირდა. ამ წლის განმავლობაში ეკონომიკური ვარდნა იმდენად მაღალი იყო, რომ საქართველოს მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდა.

შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით დასრულდა. ეფექტური ხელისუფლების არარსებობის პირობებში ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა. მოსახლეობის უმეტესობა პირველადი მოხმარებისა და მოთხოვნის პროდუქტებისა და სერვისების გარეშე დარჩა.

1993 წელს საქართველოს ეკონომიკა კიდევ 29%-ით შემცირდა. ქვეყანა უბრალოდ გაბანკროტდა. 1990 წლიდან 1995 წლამდე საქართველოს ეკონომიკა ჯამურად 68%-ით შემცირდა. 1989-1994 წლებში, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 20%-ით მცირდებოდა.

მიახლოებითი გათვლებით,

1994 წლის მინურულს საქართველო ოდნავ უფრო მდიდარი იყო, ვიდრე დღევანდელი კონგო (მშპ - 439\$) და მოზამბიკი (მშპ - 415\$). საქართველოს მაშინდელი მშპ ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით 519 დოლარს შეადგენდა. შედარებისთვის დღევანდელი მშპ 4 300 დოლარია.

ამავდროულად, 1994 წლის საქართველო უფრო ღარიბი იყო, ვიდრე დღევანდელი ტაჯიკეთი, უგანდა, ჰაიტი, იემენი, ტანზანია, ეთიოპია, უზბეკეთი და ყირგიზეთი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 3 წლის შემდეგ საქართველო, მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი სახელმწიფო იყო.

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალ გზაზე, საქართველოში საკვებისა და ელექტროენერჯის დეფიციტთან ერთად ცოდნის დეფიციტიც გამოვლინდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყანა, ნაიჯერი წარმოდგენების, უუნარობისა და უცოდინრობის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ქვეყანაში გაამყარდა კატარსტროფული არაკომპეტენტური ქართული ფულის მბაღლითი ქართული ფულის შემქმნის ისტორია. 1993 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს კუთვნილი საბჭო-

ნომიკური პარამეტრებისა და ფასების სტაბილიზაციისთვის დაიბეჭდა.

აქ ყველაზე ნათლად გამოვლინდა ღრმა არაკომპეტენტურობა და კორუფცია, რომელშიც ქვეყანა იძირებოდა. ეროვნულმა ბანკმა კუპონის მასის კონტროლის ნაცვლად ფულის ფორსირებული ბეჭდვა დაიწყო. ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს პირდაპირ ეროვნული ბანკიდან გამოჰქონდათ კრედიტი. როგორც წესი, მსესხებლები იმავე დღეს ყიდულობდნენ ამერიკულ დოლარს და შემდეგ ელოდნენ კუპონის გაუფასურებას. შედეგად მსესხებლები ეროვნულ ბანკს უკვე ძალადკარგულ, ქალაქად და ქვეულ ვალუტას უბრუნებდნენ. კუპონის კრახის შემდეგ პოლიციაში დაიბარეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დემურ დვალისვილი. გამოძიებების კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას სრული ინფორმაცია სახელმწიფოს მევალეების შესახებ, დვალისვილმა უპასუხა, რომ ეს მონაცემები მხოლოდ მის სამუშაო რეველში ინახებოდა. დაკითხვიდან გამოსულმა დვალისვილმა პოლიციის დერაფანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

1993 წელს ინფლაციამ საქართველოში 15 000%-ს გადააჭარბა. 1990-იანი წლების

ნომიკიდან.

1991-1994 წლებში რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები საქართველოში 68-ჯერ გაიზარდა;

100-ჯერ გაიზარდა პურის ფასი;

1992 წელს საქართველოში დანესდა ტარიფები, იმპორტზე - 2 პროცენტი, ექსპორტზე - 8 პროცენტი;

1992 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო სუბსიდიების წილი 30 პროცენტს უტოლდებოდა;

1995 წლისთვის მინიმალური ხელფასი - 2,69 დოლარი იყო, მაქსიმალური - 12,69 დოლარი (1994 წლის 10 ცენტის მიმართებით დოლართან);

90-იანი წლების პირველ ნახევარში არსებობდა პროგრესული სამომსავლო საგადასახადო სისტემა;

სავალუტო ფონდში განვირიანებისთვის საჭირო მილიონი დოლარი საქართველომ ნიდერლანდებისგან სესხის სახით მიიღო, მოგვიანებით ეს დავალიანება საქართველოს ჩამოაწერეს.

ტაბულა დაუკავშირდა კომპანია CRRC-ის, რომელმაც კვლევის საველე სამუშაოები ჩაატარა. კომპანიაში გვიტხრეს, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ დასმულ კითხვებზე, დაზუსტების კითხვები არ მოყვება. ტაბულა კომენტარისთვის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტსაც დაუკავშირდა. ორგანიზაციამ გვიტხრეს, რომ ამ კითხვაზე ერთი შეხედვით უცნაური პასუხები რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ეს კითხვა ერთ-ერთია იმ მრავალ კითხვას შორის, რომლებიც მოსახლეობის განწყობებს დასადგენად გამოიყენება. NDI-ში განგვიცხადეს, რომ მსგავსი კითხვები საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება და რომ ამ კითხვის მეშვეობით მნიშვნელოვანი კორელაცია დადგინდა. მაგალითისთვის იმ ადამიანების 75%, რომლებიც სსრკ-ს დაშლას დადებითად აფასებს ამავედროულად ემხრობა ქვეყნის ევროინტეგრაციას.

ჩვენს კითხვაზე, შესაძლოა თუ არა, რომ ამ შედეგების მიზეზი, 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული სამხედრო კონფლიქტები, სამოქალაქო ომი და ეკონომიკური კოლაფსი იყოს, ორგანიზაციაში გვიპასუხეს, რომ ეს ნამდვილად არის ერთ-ერთი ფაქტორი.

ავტორი

აპკ ზარქუა (ტაბულა)



თა მანეთების გაცემა შეწყვიტა. საბოლოოდ საქართველოს ფინანსურ საცავებში დახეული სამანეთიანი კუპონები და ხუთკაპიკიანები დარჩა.

ქვეყანა უბრალოდ ვალუტის გარეშე დარჩა. გადანყდა გარდამავალი ფულადი ერთეულის ე.წ. კუპონის შემოღება. გეგმის მიხედვით, კუპონი გარდამავალი ვალუტა უნდა ყოფილიყო, სანამ მიმოქცევაში ღარი შემოვიდოდა. კუპონი მაკროეკო-

დასაწყისში, საქართველომ ათეული წლებით უკან დაიხია. მოსახლეობა დიდი ხნით, გაუხადლის სიღარიბეში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ნგრევა კი ამ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სწორედ, ამ პერიოდს უკავშირდება. შესაძლოა ეს იყოს, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ამ შედეგის მიზეზის მიზეზი.

საინტერესო ფაქტები 1990-იანი წლების საქართველოს ეკო-

„ქორეპის ტბაზე“ წყლის დონის გუნებრივი მატება შეინიშნება

დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში მდებარე ე.წ. „ქორეპის ტბა“ შეესება დაიწყო. ბოლო 5 წელია, ტბა მოცულობაში მუდმივად იკლებს, განსაკუთრებულ კულმინაციას კი მან წელს მიაღწია. მის ფსკერზე წყლის დონის კლების გამო გამოჩნდა ათეული წლის წინ ჩაძირული ნაგებობები და სხვადასხვა ნივთები. მძიმე სანახავია ისიც, რომ ბოლო ხანს ტბა ელას მთას უკვე ვერ ირეკლავდა... რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ყურედეს, ფაქტია, რომ გამოთავისუფლებულ მინის ნაკვეთებზე მოსახლეობამ მარცვლული კულტურების თესვაც დაიწყო.

ბოლო ხანს საიმედო ვითარება შეინიშნება. რამდენიმე თვეა ადგილობრივები წყლის დონის მატებას აფიქსირებენ. შემცირებული ფართობი კვლავ გაიზარდა და დამშრალი ჭაობები ისევ წყალმა დაფარა. ცვლილებებს ნალექიანმა ამინდებმაც ხელი

შეუწყო. ცნობილია, რომ „ქორეპის ტბა“ ბუნებრივი ტბაა, რომელიც შიდა წყალქვეშა დინებებით მარადგებობდა. ის ძირითად ქორეპის ფერდობიდან ჩამონაჟური წყლით მარადგებობდა. მარაგი ბოლო წლებში შემცირდა, რამაც ტბის პრობას ხელი შეუწყო.

„ქორეპის ტბის“ პრობამ დედოფლისწყაროელები შეაშფოთა, თუმცა ტბის ბუნებრივად აღდგენის იმედი აქვთ მათ, ვისაც კარგად ახსოვთ, რომ ეს ტბა ათეული წლის წინაც დაშრა და შემდეგ ისევ შეივსო. ხანდაზმული ადამიანები ისხენებენ, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ ტბა იმდენად დაშრა, ირგვლივ მხოლოდ მარლის კონტურები ჩანდა. მოსახლეობა ურმებით მოდიოდა და ფსკერზე დაღეჭილ მარლის საქონლის საკვებად ეზიდებოდა. მოგვიანებით ტბა ისევ შეივსო, ამდენად, ასაკოვანი დედოფლისწყაროელები ამბო-

ბენ, რომ ამ ტბას პერიოდულად დაშრობა და თავადვე აღდგენა ახასიათებს. ამიტომ, მოსახლეობის ეს ნაწილი იმედინადაა განწყობილი. ადგილობრივების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილება და გაუდაბნოების პროცესი დედოფლისწყაროზე აისახა და ტბაც ამ პროცესს შეეწირა. მიუხედავად გაუდაბნოების პროცესის განმეგავებისა, დედოფლისწყაროს ნაკვეთებში შემოდგომაზე მასობრივი ხანძრები ისევ აქტუალურია, რაც დამატებით უარყოფით ფონს ქმნის.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ „ქორეპის ტბის“ რეაბილიტაციის პრობა ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წლებში დადო, თუმცა, წყლის დონის კლებამ გეგმების განხორციელება რამდენიმე წლით შეაფერხა, რამაც ადგილობრივების გულისწყრომა

გამოიწვია. თუმცა, დედოფლისწყაროს მერიაში ამბობენ, რომ ტბის რეაბილიტაციასა და სანაპიროს კეთილმოწყობაში თანხების ხარჯვა აზრს მოკლებული იქნება, თუკი წყლის დონის ცვალებადობა პერიოდულად მის საზღვრებსაც შეცვლის. მერიამ გეოლოგების ჯგუფიც რამდენჯერმე დაიქირავა, რომლებიც „ქორეპის ტბის“ შიდა დინების წყაროებს და წყლის შემცველობას სწავლობდნენ. ითქვა ისიც, რომ ტბაში თევზის გამრავლება ხელს შეუწყობდა წყლის ბუნებრივ ნმენდას და ხავსისგან გათავისუფლებას.

ვინაიდან ტბის მოცულობის ხელოვნურად ზრდა შეუძლებელია და ის აღდგენას ყოველთვის ბუნებრივად ახერხდება, ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის დაიბრუნებს „ქორეპის ტბა“ ბუნებრივ სილამაზეს.

ბორჩა ჩიქაძე-იშვილი

„არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის საქმე“

(მესამე გვერდიდან)

პორნოგრაფიაში ჩაბავშვები შემეხშირად ცვლიან ამბას ნარკოტიკებით, ტუციით. მონიფულსშირად აქვთ სექსპრობლემები; და რაც უარესია, ბავშვები, სექსუალური ექსგანიცადეს, მოზრშირად იგივეს აკვბავშვებთან.



თ რ ე უ ლ ი მ დ გ ო მ შ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო - პ რ ო ს ტ ი - ა ს ა კ მ ი მ ა თ ს უ ა ლ უ რ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე რ ო მ ლ ე ბ მ ა ც პ ლ უ ა ტ ა ც ი ა დ ი ლ ო ბ ა შ ი თ ე ბ ე ნ ს ხ ვ ა

ს ე კ ს უ ა ლ უ - ა რ ღ ვ ე ვ ს და ტ კ ბ ე ს და სასარგენი და ღირიცხოვროს. ტ ა ც ი ა ს

მსგავსი ტიპის რი ექსპლუატაცია ბავშვის უფლებებს, თავისი ბავშვობით ბლო, სრულფასოვანსეული ცხოვრებით ბავშვთა ექსპლუატიონს სერიოზული, მტანჯველი შედეგები მოჰყვეს ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების მხრივ. ეს შედეგები, შემდგომ, შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზე შენარჩუნდეს, ზოგჯერ კი სიცოცხლისთვის სახიფათოც იყოს. ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიური შედეგები ბავშვს მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე თან სდევს. იმ შემთხვევებში, როდესაც ინტერნეტში გავრცელებული და შენახულია ბავშვთა პორნოგრაფიის ამსახველი გამოსახულებები, მაგალითად, ფოტოები, ვიდეორგოლები, მათი შემთხვევით ნახვის შესაძლებლობა ან სულაც ცოდნა, რომ ამგვარი შესაძლებლობა არსებობს და ხელმძისხვედომი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის დროის განუსაზღვრელ პერიოდში, ბავშვისთვის მუდმივი სტრესის პირობაა.

306 მონაწილეობს ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის ნარკოზასა და ბავშვებთან? ბავშვთა პორნოგრაფიაში ხშირად მავთა, მსხვილი დანაშაულებრივი სინდიკატები არიან ჩართულები. თუმცა დღესდღეობით ახალი სერიოზული საფრთხის წყაროდ იქცა რეკლუცია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. ციფრული ფოტო და ვიდეოკამერების, კომპიუტერების, სკანერების, სხვა აპარატურისა და კავშირის საშუალებათა გაიარება, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის კატასტროფული ზრდა ბავშვთა პორნოგრაფიის ფართოდ გავრცელებისათვის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის. მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, როგორცაა, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპა და დასავლეთი აზია, ორგანიზებული კრიმინალური სინდიკატები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ ბავშვთა პორნოგრაფიის ნარკოზასა და გავრცელებაში. როდესაც გამომძიებლები ახერხებენ იმ ბავშვების მიგნებას, რომელთა გამოსახულებები გამოყენებულია პორნოგრაფიულ პროდუქციაში, მათი ექსპლუატაციორი ყველაზე ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ოჯახის წევრი ან ბავშვის ოჯახის ახლობელი ადამიანი, ზოგჯერ - მეურვე.

მასალა მოამზადა ინგა შირვაშვილმა

თერჯოლაში 14 წლის მოზარდის სუიციდის ფაქტს ახლობლები ინტერნეტ თამაშ - „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირებენ



თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქოგნარში 14 წლის მოზარდის სუიციდის ფაქტს, ახლობლები ინტერნეტ თამაშ - „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირებენ. როგორც სკოლის დირექტორი ამირან ელიავა აცხადებს, სუიციდის ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა ეჭვი არსებობს, „რაღაც თამაშზე“. „ნაიღეს კომპიუტერი, გუშინ დაკითხეს ბავშვები, სანამ არ იქნება ოფიციალური პასუხი ვერ გეტყვით. აქვთ ეჭვი თამაშზე, დეტალურად არ იციან, საქმე არის ძიებაში. ძალიან კარგი მოსწავლე იყო, პრობლემებიც არ ჰქონდა“, - განაცხადა ამირან ელიავამ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, გამოძიება ყველა მიმართულებით მუშაობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ამავ სკოლის ყოფილი თანამშრომლისა და მეგობრის თამარიკო ბატატაშვილის გარდაცვალების გამო. პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს, მის მეგობრებსა და ახლობლებს. ჩვენთვის, ისევე როგორც მათთვის, ეს უდიდესი დანაკარგია, დანაკარგი არაჩვეულებრივი ადამიანის, კოლეგის, თანამშრომლის, დედის, მეუღლისა თუ ბებისა, რომელიც მხოლოდ მზრუნველობას, სიკეთესა და სიყვარულს გასცემდა გარშემომყოფთათვის. დაე, უფალმა დაუმკვიდროს ცაათა სასუფეველი! პატივისცემით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.



მოწაბრება


ლევან ღვინიაშვილი



მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. ცრემლი ვერ ანელებს ტკივილს, რომელმაც უკვე ფეხები გაიდა ჩვენს გულში და ასე გვეგონია, დრო ამ ტკივილს მხოლოდ გაამძაფრებს. თითქოს დაცარიელდა სამყარო ჩვენთვის შენს გარეშე. გაფრინდა შენს დამცემი 3 წელი. შემზარავი იყო 2016 წლის 27 სექტემბრის ჯვართამაღლების დღე. ჩაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე 34 წლის ასაკში. ამბობენ, დრო მკურნალიაო, ეს სულ ტყუილია, შვილო. დრო აუტანელი მონატრებაა. იმ დღეს გაჩერდა შენთვის და ჩვენთვის დრო, იმ დღემ მიგვახვედრა, თუ რა უძლურები ვართ უფლის წინაშე. ჩვენთვის სულ 2016 წლის 27 სექტემბერია. რაც დრო გადის, უფრო მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი და მონატრება, ჩემო ლევან. შენთვის ხომ ცხოვრება ერთი ლამაზი წამი აღმოჩნდა, წამი, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა და გულში სამუდამო ტკივილი დაგვიტოვა. როდესაც ცხოვრებით უნდა დამტკბარიყავი, ოჯახი შეგექმნა და შენი მშობლების გული გაგვხარებინა, მაშინ ჩაქრა შენი სიცოცხლის ლამაზი: ვიძინებ მხოლოდ ერთი ნატვრით იქნებ სიზმარში მაინც გამომეცხადო, ჩაგვხუტო, მოგეფერო და მოვიკლა შენო მონატრების სურვილი, გლოვა ჩვენს გულში და ასე იქნება, ვიდრე შენთან არ მოვა შენი უბედური დედ-მამა, ვერ ვეგუებით ამ მწარე და სამინელ რეალობას. ძალიან ძნელია შვილის საფლავზე მშობლების მისვლა, მაგრამ რა ვქნათ შვილო, ესეც ჩვენი სასჯელია. მოვდივართ, გინთებთ უამრავ სანთელს, ტირილით ვიხივებთ გულს და ცოცხალ-მკვდრები ვბრუნდებით უკან. ერთ დღეს კი ჩვენთვისაც გაიღება სასუფეველის კარი და ველარაფერი დაგვაშორებს. სამუდამოდ ერთად ვიქნებით. მშვიდად იძინე იქ, სადაც არც ჭირია და არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა. მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ზეციურ ბინადარს.

კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩემო ლევანი.

ზაზა ტუხაშვილი



ხუთი უსასრულო ტკივილით სავსე წელი. როგორც ქარი წყვეტს ხიდან ფოთლებს, ასე გლევეს სიცოცხლის ხიდან სიკვდილი ჩვენს ახლობელ ადამიანებს. ისინი ღრმად ტოვებენ თავიანთ სსოვნას ჩვენს სულში. ჭრილობა შეიძლება ოდნავ მოქუშდეს წლების შემდეგ, მათი კვალი სამუდამოდ რჩება ჩვენში. ამბობენ, გარდაცვალების დღე ზეციურ სამყაროში ხელახალი დაბადების დღეა. ეს კი უტყუარი იმედია მარადიული სამყაროს არსებობისა, იმედი, რომელიც ჩვენს ნარსულთან შეხვედრას გვპირდება. სიკვდილი კარიბჭეა, სადაც შედიან და ვერანაირი ძალა უკან ვეღარ აბრუნებს. 22 სექტემბერს 5 წელი გახდება, რაც ეს კარიბჭე შეაღე და ნახვედი შვილო ზაზა, შენს უეცარ წასვლას რაიონის ტრაგედია უწოდეს. ერთი უბრალო, ჩემი, კეთილი, სიკეთით სავსე ზაზა- აი, ასე დარჩი ყველას მოგონებებში. ჩემი და შენთვის უხმაუროდ დატოვე მოკლე წუთოსოფელი. ვერც დაოჯახება მოასწარი, რომ შენი თბილი და მოსიყვარულე გული შვილების დაბადებას აეხმარებინა. ძმისა და მისი შვილების უზომო სიყვარულით იცხოვრე. შენს ძმისშვილებს სულ ხელჩაკიდებულს ატარებდი, თითქოს გრძნობდი, რომ ვეღარ ნახავდი. შენი წასვლის მერე დაიბადა კიდევ ერთი ძმისშვილი - გიორგი. ის უფლის საჩუქარია ჩვენს სასუფეველში მოვლენილი. მისმა დაბადებამ დაგვარწმუნა, რომ უფალი მოწყალეა და სანაცვლოს გვაძლევს, რათა სიცოცხლეს აზრი ჰქონდეს. მაღლობა უფალს ამ საჩუქრისთვის. ჩვენთვის შენი ძმისშვილი ილია, ანა, გიორგი- დარჩენილი ჩვენი სიცოცხლის ნათელი სხივები არიან. ძალიან დიდხანს იცოცხლონ უდროოდ წასული ბიძის მოსაგონებლად. ტკივილს საზომი არა აქვს. შვილის დაკარგვა ისეთი ტკივილია, სულს და გულს უთვალავ ნამსხვრევებად რომ აქცევს. ცხოვრობ, ოღონდ ვეღარ გრძნობ დროს, სულ ერთია და დროა, გულში შენი შვილის მონატრებით სულ ციკლა, ყველაფერი უფერულია, რადგან მზემ ბრწყინვალეა დაკარგა, მარტო ნარსულის მოგონებით ცხოვრობ და იგონებ იმ დღეებს, თუ როგორ იცხოვრეთ ერთად. გარდაცვალება, ეს უკანასკნელი სიტყვაა, რომელშიც მიწიერი ცხოვრების წიგნი მთავრდება, უზომო ტკივილია შენი ოჯახისათვის, რომ შენი ბედისწერის მოულოდნელად დახურულ წიგნში უამრავი თეთრი ფურცელი დარჩა შესავსები, დაგრჩა უამრავი ოცნება და ნატვრა შესასრულებელი. ამ ცოტა ხანში შენ მოასწარი და კარგი და ულალატო ადამიანის სახელი დატოვე, ამაში ვრწმუნდები ამ დროის განმავლობაში, ყველა შემხვედრი აუცილებლად შენი შენაწივით და გახსნებით როცა იწყებს ლაპარაკს -უფალსაც კარგი უნდაო, ასე გვანუგებებენ... ნუგეში ამ დროს უნუგებო, და მაინც ეძებ ნუგეშს იმისათვის, რომ დადგება ის დრო, როცა ამ მარადიულ გზას დაადგები და ყველაფერი დამთავრდება. უფალს ებარებოდე შვილო, ზაზა.

შენი ოჯახი
გივი, ეთერი, ზურაიკო, მარინა, ილია, ანა, გიორგი ტუხაშვილები

სსოვნა

მამუკა ჯანიასვილი



ჩვენო ძვირფასო შვილო, აი, გავატარეთ უშენობის შავი ათწლედი, დაჭრილი გულების შეუხორცებლად. ჩვენთვის, შენი ცოლ-შვილისა და მშობლებისათვის არ არსებობს ცნება- დრო მკურნალია-პირიქით, რაც მეტს ვარსებობთ უშენოდ, მეტად გვესურება გულე-ბი, აუტანელია უშენობა. შენი პაატა უკვე 27 წლის არის, სასურველი სასიძო, მაგრამ არ ქორწინდება, უმამოდ უჭირს დაოჯახება. ჩვენ, შენი უბედური მშობლები კვირაში სამჯერ მოვდივართ შენს სამარესთან, გვინდა ნალკოტად ვაქციოთ და ამას გავაკეთებთ, მანამ მოძრაობას შევძლებთ. მოვდივართ და დედა გიყვება ცრემლიანი თვალებით ჩვენს ჭირ-ვარამს და უკან წამოსვლა გვიჭირს, შენთან გვინდა ყოფნა. ტბილად იძინე, ჩვენო საამაყო შვილო, დედა ღვთისმშობელს ებარებოდე, სანამ საკუთარ დედას და მამას ჩაეხუტები.

შენი უყისმათო მშობლები
ნანა და სირან ჯანიასვილები

ახალგაზრდული დღეები დედოფლისწყაროში

მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ კულტურის სახლის ეზო კეთილმოაწყო, ეს ადგილი ზაფხულობით ახალგაზრდების თავშესაფრისთვის მიმზიდველ ადგილად იქცა. ბოლო ხანს მან ადგილობრივ სკვერებს კონკურენცია გაუწია. მიუხედავად იმისა, რომ აქ არც სკამებიცაა განთავსებული, კარგ ამინდში უამრავი ახალგაზრდა იკრიბება. ნაწილი ჯებირებზეა ჩამოსხდარი და სხვადასხვა თამაშებით იქცევა თავს, ნაწილი კი ეზოში ბურთს და სხვა სპორტულ თამაშებშია ჩართული. მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი სივრცე აქტიურადაა ათვისებული. როგორც ჩანს სკვერებისგან განსხვავებით ახალგაზრდებს ფართო მოასფალტებული მოედანი და განათებული სივრცე უფრო იზიდავს.

დაკავდებოდნენ. ამ სამსახურში გადმოსვლისთანავე ვფიქრობდი, სწავლის დანებებამდე დარჩენილი პერიოდი აგვეთვისებინა. აღმოჩნდა, რომ იგივე იდეა სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრსაც ჰქონდა, ამდენად, ჩვენი ტექნიკური, ადამიანური, თუ ყველაწინაირი შესაძლებლობები გავაერთიანეთ და ორმა სამსახურმა ახალგაზრდული დღეები გავმართეთ. ბედნიერი ვარ, რომ

იმართებოდა ვაუჩერის მოსაპოვებლად... ეს ადგილი ერთ-ერთ საუკეთესო თავშესაფრის ადგილად ითვლება ახალგაზრდებში და იქ მუდამ ხალხმრავლობაა. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა კაფე „კაპუჩინოს“ მფლობელებს, რადგან მხარი დაუჭირეს ჩვენს იდეას, პარტნიორობა გაგვინიეს, თანადაფინანსებაში შემოვიდნენ და ვაუჩერების ღირებულების ნახევარი საკუთარ თავზე აიღეს. ეს



გამო გამაგრებელი სასმელები, თუ კაფეში დაჯდომა ხშირად მიუწვდომელია. ეს პირველი მცდელობა იყო და ცხადია, რომ სრულად კმაყოფილები არ ვართ, მაგრამ მთავარია დავინწყეთ და სამომავლოდ ვეცდებით, იდეა კიდევ უფრო დავხვეწოთ და საზაფხულო დღეები მრავალფეროვანი გახდეს. სიმართლე გითხრათ, უფრო მეტ მონაწილეს ველოდით, მაგრამ როგორც ჩანს, არდადეგების პერიოდში ბევრი ახალგაზრდა რაიონიდან გასული იყო. ბოლო დღეებში ცივმა და ნალექიანმა ამინდმა გვაიძულა, ნაადრევად შეგვეწყვიტა ყოველდღიური დისკოთეკები, - აცხადებს ილია მარტყოფლიშვილი.

დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული ცენტრ „იბერიას“ ხელმძღვანელი ლეოპოლდ ბილიაშვილი ამბობს, რომ სურდათ ახალგაზრდებისთვის ზაფხულის ცხელი დღეები საინტერესო ყოფილიყო.

„პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ახალგაზრდული ახალგაზრდულ კლუბ „იბერიას“ წევრებს. კლუბი ადგილობრივი უფროსკლასელებით დაკომპლექტდა და ბევრ საინტერესო აქტივობას ახორციელებს ჩვენს რაიონში. რომ არა ისინი, ამ ყველაფრის განხორციელება ძალიან გაგიჭირდებოდა. ყველაფერმა ამ ახალგაზრდებზე გადაიარა და ყოველდღიურად მათი დამსახურებითა და ძალისხმევით ხდებოდა ახალგაზრდების ცეკვებში ჩართვა და გააქტიურება. ამდენი დღის განმავლობაში აქტიურად დადიოდნენ და დაუზარელად ცდილობდნენ აპარატურის გამართვას და საღამოების წარმართვას. ჩვენი სამსახურის ეზო ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი ადგილია დედოფლისწყაროში. საღამოობით აქ უამრავი ახალგაზრდა იყრის თავს და ვიფიქრეთ, რომ ამ ყველაფერს მუსიკა კიდევ უფრო გამოაცოცხლებდა. აღმოჩნდა, რომ კულტურის სამსახურსაც იგივე იდეა ჰქონდა, გავაერთიანეთ ჩვენი ადამიანური-ტექნიკური რესურსი და ვეცადეთ მოზარდები გაგვემზიარებინა. დისკოთეკებს ახალგაზრდები ყოველთვის ითხოვდნენ, მაგრამ ვეცადეთ თემატურად განსხვავებული დღეები ყოფილიყო. ორი დღის განმავლობაში ეკრანზე რჩეული ფილმებიც ვაჩვენეთ. თუმცა, მოგესხენებათ, ფილმის საჩვენებლად ღია ცის ქვეშ არახელსაყრელი გარემოა და ჭირს ორი საათი ყურადღებით უსმინო და მაყურებელი შეინარჩუნო. სხვა იდეებიც გვქონდა, რომელთა განხორციელებაც ამ ეტაპისთვის ჯერ ვერ მოვასწარი, თუმცა მომავალი წლისთვის შეეცდებით, - ამბობს ლეოპოლდ ბილიაშვილი.

დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრების ორგანიზებით ამ ეზოში ორი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ახალგაზრდული დღეები ეწყობოდა. კულტურის სახლში მისულ ადგილობრივ ახალგაზრდებს, თუ არდადაგებზე დედოფლისწყაროში ჩამოსულ სტუმრებს ყოველდღიური დისკოთეკები, კინოჩვენებები და ინტერაქტიული კონკურსები, აქტიურ ახალგაზრდებს კი ორგანიზატორებისგან საჩუქრებიც ელოდა.

როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ყოველდღიური ახალგაზრდული დღეები უპრეცედენტოა და ამ დრომდე ასეთი ხანგრძლივი საზაფხულო სეზონი დედოფლისწყაროში არ ყოფილა.

პირველივე ჯერზე მხარდამჭერებიც გამოვიჩინა კერძო ბიზნეს სექტორიდან. ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად ცეკვავდნენ და ხშირად სტუმრობდნენ დისკოთეკას, ჩვენგან საჩუქრად გამაგრებული სასმელები ურიგდებოდათ. სასმელებს ვრეჟინდით მათაც, ვინც ძალზე მარტივ შემეცნებით კითხვებზე სწორ პასუხს გასცემდა. ვცდილობდით, შეკითხვები ჩვენს რაიონთან ყოფილიყო დაკავშირებული და ამ მხრივ ახალგაზრდებს ცოდნა გაეღრმავებინათ. ამას გარდა, ყოველდღიურად გაიცემოდა უფასო ვაუჩერი, რითაც მის მფლობელს შეეძლო დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე კაფე „კაპუჩინოში“ მისულიყო და შესაბამისი თანხის მისთვის სასურველი შეკვეთა გაენახლებინა. ეს სიურპრიზი

საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდების მხარდასაჭერად და ნასახლისებლად სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობისა. სამწუხაროდ, რეგიონებში ასეთი ინიციატივები ნაკლებად მხარდაჭერილია, ამდენად, სიმართლე გითხრათ, როცა ამ თემაზე მოლაპარაკების საწარმოებლად კაფეს ხელმძღვანელებს შევხვდი, სკეპტიკურად განწყობილი ვიყავი და მხარდაჭერის იმედი არ მქონდა. თუმცა, მათ უყოყმანოდ გაიზიარეს ჩვენი პათოსი და ერთობლივი ძალებით შევძელი ყოველი დღე უფრო ნაყოფიერი გაგვეხადა, ვიდრე ეს ვაუჩერების გაცემის გარეშე იქნებოდა. მოხარული ვარ, რომ პირველივე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა და ბევრი ახალგაზრდა გავახარეთ. არ დაგიმალავთ, საჩუქრების გაცემის პროცესში ხშირად სუბიექტურები ვიყავით და ვცდილობდით, სოციალურად დაუცველი ფენა დაგვევიდოებინა და უფრო მეტად ისინი გავგებარებინა, ვისთვისაც ფინანსური პრობლემების

ულოცავთ!

ლეოპოლდ ბილიაშვილს!

გილოცავთ უფროსი ქალიშვილის მირიამ იაკობიშვილის და თამარ ზანაშვილის ქორწინებას და გვარისწერას. სიყვარულით და სიხარულით აღსავსე ყოფილიყოს მათი ცხოვრების სავალი გზა. წარმატებული და ნაყოფიერი იყოს მათი ამქვეყნიური ცხოვრება. ვუსურვებთ კარგი შვილების აღზრდას და საზოგადოებაში საუკეთესო სახელის დამკვიდრებას. უფალი იყოს მათი მფარველი.

მარგო იაკობიშვილი ოჯახით.

თამარ ზანაშვილს!

ძვირფასო თამარიკო, ჩვენი თანაკლასელის-გურამ ზანაშვილის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ, ჩვენთვის შენ დარჩი მისი ოჯახის დედაბოძად. სამი ვაჟი- ლევანი, მამუკა და პაპის მოსახელე არსენი დაგრჩა გასაზრდელი, რასაც შენ ღირსეულად გაართვი თავი: მიეცი მათ განათლება, დააოჯახე და აი, უკვე ექვსგზის ბებია გახდი. გილოცავთ მეექვსე შვილიშვილის, პატარა მამო ზანაშვილის დაბადებას. ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას დებთან- ნუცასთან და ნატასთან ერთად. მის მშობლებს, თავი აბულაშვილს და არსენ ზანაშვილს კი შვილების წარმატებით მიღებულ მრავალ სიხარულს. უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს შენს დიდ ოჯახს.

ძ. ნითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1964 წლის 11-ა კლასის პურსადამთავრებულმა.

მეწარმეთა საყურადღებოდ!

როგორც ცნობილია, იურიდიული პირები და ისინი. მენარმეები, რომელთა შემოსავლები აღემატება მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის გათვალისწინებულ შემოსავლებს, ვალდებული არიან, 1 ოქტომბრამდე წარადგინონ ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსები) ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად. წარუდგენლობის შემთხვევაში კანონით ვალისწინებს სერიოზულ სანქციებს.

შპს „ლაშარი +“ და შპს „ბუღალტერია, ანალიზი და კონტროლი“ მზად არიან გაუწიონ მომსახურება დაინტერესებული საწარმოების ხელმძღვანელებს. მომსახურება ფასიანია. ☎ 591224495, 593 281146

განცხადება!

ბუმბულის ბალიშების განმეხდა და დეზინფექცია (ანტიბაქტერიული დასხივება) წელიწადის ყველა დროს მის: დედოფლისწყარო, სოფ. ხორნაბუჯი ჩოლოყაშვილის ქ. №27 (მაზოვის წყაროსთან ახლოს) ☎ 599 856 356 მზია

იყიდება!

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებული ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ☎ 591092478

ამინდი

ორშაბათი 23.09 დღე 14°	სამშაბათი 24.09 ღამე 14°	ოთხშაბათი 25.09 დღე 16°	ხუთშაბათი 26.09 ღამე 15°	პარასკევი 27.09 დღე 19°	შაბათი 28.09 ღამე 17°	კვირა 29.09 დღე 18°	დღე 17°	ღამე 14°	დღე 16°	ღამე 12°
------------------------------	--------------------------------	-------------------------------	--------------------------------	-------------------------------	-----------------------------	---------------------------	------------	-------------	------------	-------------

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებსზე პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ყურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია მენაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	---	---